# დღეს თბილისში იწყება პირველი საერთაშორისო ტურნირი

# ქართულ ჭიდაობაში


პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!



საქართველოს სსრ ფიზიკურ აღზრდის სახელმწიფო კომიტეტის „ფიზიკური კულტურა და სპორტის“ ჟურნალი

ЛЕЛО ОРГАН КОМИТЕТА ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ ПРИ СОВЕТЕ МИНИСТРОВ ГССР И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

25 ნოემბერი, შაბათი, 1989 წ. № 225 (10 144) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


## გზა მშვიდობისა, ჩვენო მადლიანო „ქართულო“!

**სულაც** არ მიკვირს ასეთი ბუმი ქართული ჭიდაობისა, გზას რომ მიიკვლევს მსოფლიო სარბიელისკენ. ეს გაცილებით ადრე უნდა მომხდარიყო, კერძოდ მაშინ, როცა ორმოცდაათიან წლებში ჭიდაობის სამყარომ ერთგვარი „შენიღბული“ სახით იხილა ჩვენი მადლიანი ქართულის ციცხლოვანი ილეთები, მახსენდება 1953 წლის მსოფლიო ახალგაზრდობის ფესტივალი. ამ ფესტივალზე თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ტურნირში, სადაც ნებადართულია ჩვენი ეროვნული ჭიდაობის სარმისა და მოგვერდის, აგრეთვე სხვა ილეთების გამოყენება, დიდი უპირატესობით გავიმარჯვეფილა-ს (მოყვარულ მოჭიდავეთა საერთაშორისო ფედერაცია) მაშინდელი ხელმძღვანელობა, განსაკუთრებით კი პრეზიდენტი როჟე კულონი (საფრანგეთი), აგრეთვე ტექნიკური კომისიის თავმჯდომარე მატურა (უნგრეთი), თურქი ემრე, შვედი სტრომბერგი და სხვები განცვიფრებულნი ამბობდნენ, ეს მოჭიდავე ფეხს ხელივით ხმარობსო.

განსაკუთრებით მოხიბლა ჩვენმა ილეთებმა როჟე კულონი, რომელმაც საგანგებოდ მიმიწვია თავის სამშობლოში მსოფლიო ჩემპიონატის ტურნირზე. სხვათა შორის, იქ სსრ კავშირი მხოლოდ კლასიკოსი ილეტებით იყო წარმოდგენილი. საფრანგეთის თეთრეტი ქალაქი მოვიარეთ და ყველგან ტრიუმფალური გამოსვლები მქონდა. 1975 წელს კი ჩვენი ჭიდაობის ექსპორტის საშუალება მოგვეცა. მინსკში, სადაც ევროპის ჩემპიონატი ჩატარდა, გავმართეთ საჩვენებელი გამოსვლები მეზურნეთა დასტის თანხლებით, რამაც ყველა გააოცა. ამ ისედაც ცეცხლოვან ჭიდაობას „საჭიდაოს“ ჯანგები კიდევ უფრო ახალისებდა და ჟინს მატებდა.

მინსკიდან პრეზიდენტი საქართველოში მოვიწვიეთ. სტუმარს მოვატარეთ ჩვენი სოფლები, სადაც ნახერხმოყრილ წრეში მოჭიდავეთა რამდენიმე თაობის შერკინებები იხილა. აი, მაშინ დაასკვნა პრეზიდენტმა, რომ ქართული ჭიდაობა სამყაროს უნდა გავაცნოთ, გარდა ამისა, საკვლევით კანონზომიერია, რომ მსოფლიო პირველობაც კი ტარდებოდეს ამ სახეობაშიო.

— ამაზე თქვენმა ჭიდაობის თავკაცებმა უნდა იზრუნონ. ჩემი აზრით, სამბოს ნაცვლად სწორედ ქართულ ჭიდაობაში უნდა იმართებოდეს მსოფლიო პირველობა. ამ აზრს ფილა-ს სხვა წევრებიც სავსებით იზიარებდნენ. მოხარული ვარ, რომ დღეს ქართულმა ჭიდაობამ მსოფლიოს ყურადღება მიიპყრო და იგი საერთაშორისო სარბიელზე გასასვლელად ემზადება.

გზა მშვიდობისა, ჩვენო მადლიანო „ქართულო“!

**ვახტანგ გალავაძე,**
**მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი თავისუფალი სტილით ჭიდაობაში, მელბურნის ოლიმპიური თამაშების პრიზიორი, სპორტის დამსახურებული ოსტატი.**

ქართულ ჭიდაობაში პირველი საერთაშორისო ტურნირის მონაწილენი ისრაელის ფალავნები ემზარ სეფიაშვილი (მარცხნიდან) და რობინზონ ჭონაშვილი მახპინძელთან — სპორტის დამსახურებულ ოსტატთან დავით გოგიჭიშვილთან ერთად, აგრეთვე ტაშკენტის გუნდის წევრები თვალყურს ადევნებენ ქართულ ჭიდაობაში საჩვენებელ ორთაბრძოლას.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.




ეროვნული ბიბლიოთეკა

საქ. სახ. რესპუბლიკა ბიბლიოთეკა


მკითხველთა თხოვნით

## რატომ დარჩა ჭინ ნინო გურიელი?

**ჰადრაკის** მოყვარულებმა იციან, რომ ვოლუსკში მიმდინარეობს მოჭადრაკე ქალთა სსრ კავშირის 49-ე ჩემპიონატი. იქ მონაწილეობა უნდა მიეღო თბილისელ საერთაშორისო დიდოსტატს ნინო გურიელს. მაგრამ ბოლო წუთს გურიელმა უარი თქვა ვოლუსკში გამგზავრებაზე. რა იყო ამის მიზეზი, რატომ თქვა უარი დიდოსტატმა საკავშირო ჩემპიონატში მონაწილეობაზე? ამგვარი კითხვებით ბევრი ჰადრაკის მოყვარული მოგვმართავს. ჩვენ დავუკავშირდით ნინო გურიელს, აი, რა გვითხრა დიდოსტატმა.

— **უხერხულ** მდგომარეობაში ჩავვარდი, მეც მირეკავენ ტელეფონით, რატომ თქვი უარი ჩემპიონატში თამაშზეო. არა, უარი არ მითქვამს. ამას ჩემს კაპრიზად ნურავინ ჩამითვლის, თვითმფრინავის ბილეთიც კი აღებული მქონდა. ამდენი ხანი ვემზადებოდი მისთვის, ამ ტურნირის გამო მსოფლიო თასის მეორე გათამაშების ერთ-ერთ შესარჩევ შეჯიბრებაში თამაშზეც კი უარი ვთქვი, დეკემბრის დამდეგს ესპანეთში რომ იწყება. მაგრამ, საბწუხაროდ, მთელი გეგმები ამერია, ავად გავხდი და ექიმებმა დაჟინებული მოთხოვნით მაიძულეს შინ დავრჩენილიყავი.

● **ახლა როგორ გრძნობთ თავს?**

— ყოველ შემთხვევაში, ჯობს უკეთ ვიყო.

● **იქნებ ახლა მაინც განაცხადოთ თანხმობა ესპანეთში გამგზავრებაზე.**

— სხვათა შორის, კიდეც გამიკვირდა, საკავშირო სპორტსახკომის ჰადრაკის სამმართველომ თავად შემომთავაზა: ჩემპიონატი გაგიცდა და იქნებ მსოფლიო თასის შესარჩევ ტურნირში მაინც ითამაშოო. თუმცა ძალზე მცირე დრო მრჩებოდა, საბუთები გავგზავნე მოსკოვს, რაშიც დიდად დამეხმარა რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო, პირადად მინიტრი, ბატონი გიორგი ჯავახიშვილი. ახლა ყველაფერი ტურნირის მასპინძლებზე, ესპანელებზეა დამოკიდებული...

● **ბარემ ისიც გვითხარით, უახლოეს ხანს რა შეჯიბრებებში მიიღებთ მონაწილეობას. თუ ესპანეთს გაემგზავრეთ, წლეულს ალბათ შეტს არსად ითამაშებთ.**

— დიახ, წლეულს რაღა მოესწრება. ახალი სეზონის დასაწყისშივე კი იუგოსლავიაში ვარ მიწვეული. მერე იქვე, ბელგრადის ტრადიციულ სარვამარტო ტურნირში მეპატიჟებიან. ჯერჯერობით მხოლოდ ესაა.

და კიდევ ერთის თქმა მინდა. „მერანის“ ბოლო ნომერში გამოქვეყნდა დიდოსტატთა საერთაშორისო ასოციაციის სია, რომელშიც, სამწუხაროდ, ჩემი გვარი გამორჩენილია. სხვათა შორის, ასოციაციის საკუთარ ბეჭდვით ორგანოსაც გამოტოვებული აქვს ჩემი გვარი. როგორც ჩანს, სათანადო საბუთების გაგზავნა დაგვიანდა. ასე რომ, გთხოვთ, მეც ასოციაციის სრულუფლებიან წევრად ჩამთვალოთ.

**ტელეფონით ესაუბრა**
**დავით ჭელიძე.**

## ლეილა მესხის მონაწილეობით

**ნანტი.** აქ დაიწყო ევროპის ჩოგბურთელ ქალთა გუნდური ჩემპიონატი. საბჭოთა კავშირის ნაკრების ღირსებას იცავენ ნატალია ზვერევა, ლარისა სავჩენკო, ლეილა მესხი და ნატალია მედვედიევა. პირველ წრეში ერთმანეთს შეხვდნენ სსრ კავშირისა და ჰოლანდიის გუნდები. მძაფრი ბრძოლით აღინიშნა მედვედიევასა და ბრენდ შულცის ორთაბრძოლა. პირველი ხელი ჰოლანდიელმა ჩოგბურთელმა მოიგო — 6:3. მეორე — იგივე ანგარიშით მედვედიევამ. მესამე პარტიაში დიდხანს მდგომარეობა გაურკვეველი იყო, მაგრამ ბოლოს საბჭოთა ჩოგბურთელმა იმარჯვა — 7:5.

გაცილებით უკეთ ჩაატარა სასტარტო შეხვედრა ლეილა მესხმა მანონ ბოლეგრაფთან. მან ყველაფერი ორ პარტიაში მოაგვარა — 6:4. 6:3.

წყვილთა თანრიგში ნატალია ზვერევასა და ლარისა სავჩენკოს მეტოქეები იყვნენ ბოლეგრაფი და კაროლინ ვისი. გაიმარჯვეს საბჭოთა ჩოგბურთელებმა — 7:5, 6:2.

გაიმართა, აგრეთვე, დიდი ბრიტანეთისა და შვეიცის გუნდების მატჩი. გამარჯვება ბრიტანელებმა მოიპოვეს — 2:1.

### ფოდგების მინიჭება

**საბჭოთა** კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭა:

**თავისუფალ ჭიდაობაში** — ბადრი ქარდავას (სოხუმი, პროფკავშირები), გურამ ბითიევს (ცხინვალი, პროფკავშირები), ხვიჩა გოგიჩაიშვილს (სოხუმი, პროფკავშირები), კახა გოგოლიშვილს, დავით ბერიძეს, დიმიტრი აბრამიშვილს (სამივე — თბილისი, „შრომითი რეზერვები“), კახა გაჩავას (თბილისი, შეიარაღებული ძალები), ელდარ კურტანიძეს (გულრიფში, პროფკავშირები), კახაბერ ლევიძეს (ქუთაისი, პროფკავშირები), დავით ხაბელაშვილს, ვახტანგ თათრულაიძეს (ორივე — თბილისი, „შრომითი რეზერვები“).

# ჭიდაობა ჩვენი, ქართული ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს ფალავნები

**ფალავნობას** საქართველოში საუკუნოვანი ისტორია აქვს, მაგრამ მწყობრი და ორგანიზებული სახე ამ შეჯიბრებამ 20-იან წლებში მიიღო. ფალავნობაში გამარჯვებულ მოჭიდავეთა სრული სია, სამწუხაროდ, დაუდგენელია რამდენიმე მიზეზის გამო. ჯერ ერთი, თვით შეჯიბრება ყოველწლიურად არ ტარდებოდა და ამიტომ ზოგ შემთხვევაში ინტერვალი ტურნირებს შორის საკმაოდ დიდი იყო. არ არსებობს არც შეჯიბრების ოქმები, რის გამოც ბევრი ფალავნის გვარი გამოკითხვის წესით დადგინდა.

სწორედ ამიტომ 1989 წლის აბსოლუტური ჩემპიონატისადმი (როგორც მოგეხსენებათ იგი ჩატარდება მიმდინარე წლის 25-26 ნოემბერს) მიძღვნილ ბუკლეტში ერთი უზუსტობა დავუშვით, რომელიც გუშინ გაირკვა და ახლა სწორდება. ბუკლეტში აღნიშნულია, რომ 1974 წელს ფალავანი გახდა ოთარ ყურაშვილი, სინამდვილეში კი ამ წელს აბსოლუტური ჩემპიონის სახელი მეორე თბილისელ ფალავანს იგორ ძეგლიგაშვილს მოუპოვებია.

ასეთი უნებლიე უზუსტობებისგან შესაძლოა არ იყოს დაზღვეული ქვემოთ მოყვანილი სიაც, მაგრამ გამოვთქვამთ რწმენას, რომ ბევრი რამ დაზუსტდება მისი გამოქვეყნების შემდეგ. რედაქცია წინასწარ უხდის მადლობას ყველას, ვინც ამასთან დაკავშირებით დასაბუთებულ და უტყუარ ცნობებს მოგვაწვდის.

კიდევ ერთი შენიშვნა: ოფიციალური მონაცემების თანახმად, პირველი შეჯიბრება ფალავნობაზე 1928 წელს ჩატარდა. მაგრამ იმდროინდელი პრესის ფურცლებზე შემთხვევით წავაწყდით ცნობას, რომ ერთი წლით ადრე, 1927 წელს ფალავანი შალვა გზირიშვილი გამხდარა. ერთი სიტყვით, სიმართლის დადგენა ჭიდაობის ყველა მოყვარულის ვალია და ჩვენ მადლობის გრძნობით მივიღებთ ყველა საქმიან შენიშვნას.

## 1927 წლიდან—დღემდე

1927. შალვა გზირიშვილი (საგარეჯო).
1928. შალვა რჩეულიშვილი (თბილისი).
1931. გიორგი რჩეულიშვილი (გორი).
1934. ფაბტანგ (გიუნა) ჭიკინაძე (თბილისი).
1935. ნინდრო ნაკახაშვილი (გორი).
1936. არსენ შეკოკიშვილი (საგარეჯო).
1937. არსენ შეკოკიშვილი (საგარეჯო).
1938. არსენ შეკოკიშვილი (საგარეჯო).
1944. არჩილ ონაშვილი (თბილისი).
1945. ზაქარია ბაკურაძე (ბათუმი).
1946. ზაქარია ბაკურაძე (ბათუმი).
1947. ზაქარია ბაკურაძე (ახმეტა).
1948. ზაქარია ბაკურაძე (ახმეტა).
1949. ზაქარია ბაკურაძე (ახმეტა).
1953. ხიმონ მაისურაძე (თბილისი).
1957. ზაქარია მუხიაშვილი (თბილისი).
1958. ამირან ჯარდოშვილი (თბილისი).
1959. ანზორ კოკნაძე (თბილისი).
1960. ანზორ კოკნაძე (თბილისი).
1961. ანზორ კოკნაძე (თბილისი).
1963. ანზორ ზურაბაული (საგარეჯო).
1964. ანზორ კოკნაძე (თბილისი).
1967. ბუღდან ბაღაკაშვილი (გორი).
1969. ვიგი კახაბრიშვილი (თბილისი).
1970. შოთა გულიაშვილი (თბილისი).
1971. შოთა გულიაშვილი (თბილისი).
1972. შოთა ჩოჩიშვილი (გორი).
1973. ოთარ ყურაშვილი (თბილისი).
1974. იგორ ძეგლიგაშვილი (თბილისი).
1975. ოთარ ყურაშვილი (კახეთი).
1976. თემურ ხუბულური (გორი).
1977. შოთა ჩოჩიშვილი (გორი).
1978. აბესალომ წიკლაური (მცხეთა).
1979. მალხაზ ბერუაშვილი (თბილისი).
1980. ტარიელ მუთოშვილი (ახმეტა).
1981. შოთა ხაბარელი (თბილისი).
1982. მალხაზ ბერუაშვილი (თბილისი).
1983. დავით დავითაშვილი (თბილისი).
1984. მალხაზ ბერუაშვილი (თბილისი).
1985. ჯემალ მჭედლიშვილი (თბილისი).
1986. ჯემალ მჭედლიშვილი (თბილისი).
1987. მალხაზ ბერუაშვილი (თბილისი).
1988. გელა ბერუაშვილი (თბილისი).

## შთაგონების წყარო

**იმ შემოქმედთა შორის, რომელთაც ქართული ჭიდაობის თემა შთაგონებთ და აღელვებთ, არის საქართველოს სახალხო მხატვარი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი გ. თოიძე. მან არაერთი ფერწერული ტილო უძღვნა ეროვნული სპორტის ამ შესანიშნავ სახეობას.**

**მას** ხშირად ნახავდით ამ რამდენიმე წლის წინათ რიყის იმ მოედანზე თავშეყრილთა შორის, სადაც ქართული ჭიდაობა იმართებოდა. ბევრს, ალბათ, მისი იგ გულმოდგინეობა, ჩვეულებრივ სპორტის სიყვარულად მიაჩნდა, მაგრამ იგი თურმე წყვილთა შერკინებებს მხატვრის თვალით აკვირდებოდა და მის მეხსიერებაში სულ სხვაგვარად აღიბეჭდებოდა ცეცხლოვანი ქართულის თითოეული მოძრაობა თუ ილეთი...

— სასკოლო არდადეგებს დედულეთში, ერთ-ერთ თვალწარმტაც სოფელ პატარძეულში ვატარებდი. მოგეხსენებათ, კახელებისათვის ქართული ჭიდაობა ყველაფერია. რომ არაფერი ვთქვათ კვირა დღეებსა თუ სხვა დღეობებზე, ჩიტებზე „როგატკით“ ტყეში ნადირობაცა და იორში ბანაობაც ჭიდაობით მთავრდებოდა. აი, ასეთი საყოველთაო სიყვარულით სარგებლობს იგი ამ კუთხეში.

ეტყობა არც მე დავრჩენილვარ გულგრილი და უნებლიედ ღრმა კვალი დაუმჩნევია ჩემში. ყველაფერი ეს გვიან წამოტივტივდა, ასაკში რომ შევედი, მერე შემახსენა თავი. სწორედ ამ პერიოდს დაემთხვა თემატური გამოფენა სპორტზე, რომელიც მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებით უნდა გახსნილიყო დედაქალაქის „მანეჟის“ საგამოფენო დარბაზში. სწორედ მაშინ მოვუხშირე რიყეზე სიარულს, ეს ის პერიოდი იყო, როცა ამ ტილოზე ვმუშაობდი. ივრისპირა საჭიდაოდან გამოყოლილი ბავშვობის განცდები და მღელვარება აშკარად არასაკმარისად ჩავთვალე და მინდოდა უფრო სხვა თვალით დამენახა იგი. მოჭიდავეთა შეხვედრებზე დასწრებასთან ერთად, იმ დღეებში, ჩვენს სახელოვან ფალავნებსაც ბევრი ვესაუბრე, ვინახულე თვით სიმონ მაისურაძეც, რომელმაც ბევრი სასარგებლო რჩევა მომცა, ვესტუმრე საგარეჯოსაც, სადაც შესანიშნავი საჭიდაოა და იქ მიღებული შთაბეჭდილებებით ივსებოდა ჩემი წარმოდგენა ქართულ ჭიდაობაზე და იქმნებოდა სხვადასხვა ფერწერული ტილოები. ერთ-ერთ მათგანზე კი (160X120 სმ), ასახულია კოლორიტული კახეთის სოფლის ფონზე შეკრებილი მაყურებელი, რომელიც დიდი გატაცებით ადევნებს თვალს სარბიელზე შერკინებულ ვაჟკაცთა წყვილს. ეს სურათი დღესაც სსრ კავშირის მხატვართა კავშირის ფონდშია და ხშირად მონაწილეობს მოძრავ გამოფენებში კავშირის მასშტაბითა თუ საზღვარგარეთ.

კითხვაზე, რით გხიბლავთ ქართული ჭიდაობა, ხელოვანმა მიპასუხა:

— საქმე ის გახლავთ, რომ მხატვარს, პირველ ყოვლისა, აღელვებს ის ექსპრესია, პლასტიკურობა, ტემპერამენტი, მოხდენილი ხერხის ხმარება, რაინდული შემართება, რაც ასე მოჭარბებულად არის ჩვენს ჭიდაობაში...

**● თქვენს გარდა კიდევ რომელი ქართველი მხატვარი მიმართავს ჭიდაობის თემას?**

— საქართველოს დამსახურებულ მხატვარს, თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორს დიმიტრი ხახუტაშვილს აქვს შექმნილი შესანიშნავი ტილო ქართულ ჭიდაობაზე, გიგლა ფირცხალავას კი ყოველთვის აღელვებდა ჩვენი სახელოვანი მოჭიდავეების დავით ციმაკურიძისა და გივი კარტოზიას ძლიერი, პლასტიკური პორტრეტები, რომელიც მან გამოაქანდაკა. მასვე აქვს სხვა ნამუშევრებიც ქართულ ჭიდაობაზე.

**ესაუბრა უშანგ ჭიჭინაძე.**

**სურათებზე: ზევით — „ქართული ჭიდაობა“ (გ. ფირცხალავა); მარცხნივ — გ. თოიძის ნამუშევრის ფოტორეპროდუქცია.**




## ტურნირის ფულადი ჯილდოები

ქართულ ჭიდაობაში პირველ საერთაშორისო ტურნირზე დაწესებულია ფულადი ჯილდოები:

**წონით კატეგორიაში გამარჯვებისთვის—1000 მან.**
**მეორე ადგილზე გასულისთვის — 500 მან.**
**მესამე ადგილზე გასულისთვის — 300 მან.**

აბსოლუტური წონითი კატეგორია:
**I ადგილი — 3.000 მან.**
**II ადგილი — 2.000 მან.**
**III ადგილი — 1000 მან.**

სხვადასხვა ორგანიზაციებისა და სპონსორების მიერ დაწესებულია აგრეთვე პრიზები.

**შეგახსენებთ, ტურნირი დღეს, 12 საათზე დაიწყება.**
**ასპარეზობის საჯაროდ გახსნა — 18 საათზე.**

**ქართულ ჭიდაობაში** პირველ საერთაშორისო ტურნირს რამდენიმე სპონსორი ჰყავს. სწორედ მათი ხელშეწყობით დამზადდა სარეკლამო პლაკატები, სამახსოვრო medლები, სამკერდე ნიშნები, ვიმპელები, ჩანთები, ხაჭაღალდეები და ა. შ. ამგვარი თანამშრომლობა ორმხრივია სახარგებ ლო. სურათებზე თქვენ ხედავთ ტურნირისათვის სპონსორების მიერ დამზადებულ პროდუქციის ნიმუშებს.



UEFA ევროპის საკლუბო ტურნირები

# ყველაფერი გაირკვევა 6 დეკემბერს

**22 ნოემბერს** გაიმართა უეფა-ს თასის მერვედფინალის პირველი მატჩები. ეს შეხვედრები აღინიშნა უკიდურესად დაძაბული, მწვავე ბრძოლით, თითქმის ვერც ერთმა გუნდმა ვერ შეძლო უპირატესობის მოპოვება ისეთი ანგარიშით, რომელიც მას საპასუხო მატჩში წარმატების გარანტიის ნაღდ საშუალებას შეუქმნის.

დავიწყოთ კიევის დინამოელთა შეხვედრით იტალიის „ფიორენტინასთან“, რომელიც ქალაქ პერუჯაში შედგა. მატჩის მსვლელობა ტელევიზიით ვიხილეთ. იტალიელ ფეხბურთელებს, რა თქმა უნდა, სრული ტერიტორიული უპირატესობა ჰქონდათ, მაგრამ კიევის „დინამომ“ 2-მატჩიანი ტურნირის ტიპიური სქემით ითამაშა, საკმაოდ საინიდო, უნარიანი დაცვის სისტემა შექმნა და „ფიორენტინამაც“ მხოლოდ ერთი ბურთის განსხვავებით მიაღწია გამარჯვებას. ეს გოლი ბაჯომ გაიტანა 76-ე წუთზე 11-მეტრიანით.

შედეგი, თითქოს, ურიგო შანსს არ უქმნის კიევის „დინამოს“ საპასუხო მატჩისთვის, მაგრამ კვლავ და კვლავ იმის მოწმენი ვართ, რომ საბჭოთა ფეხბურთელები მეტისმეტად უხეშად, დაურიდებლად მოქმედებენ მეტოქეთა წინააღმდეგ, წესის დარღვევას არ თაკილობენ და ახლა 6 დეკემბრის საპასუხო მატჩისთვის კიეველები კვლავ რთული პრობლემების წინაშე იმყოფებიან. განვლილ მატჩში მონაწილეობა ვერ მიიღო კიეველთა საუკეთესო ბომბარდირმა პროტასოვმა, ვინაიდან მინდვრიდან გაძევებისთვის მას დისკვალიფიკაცია ჰქონდა. ახლა კიველებს გამოაკლდებათ იარემჩუკი, რომელიც დასავლეთ გერმანელმა არბიტრმა კ.-ხ. ტრიჩლერმა 35-ე წუთზე მინდვრიდან დაითხოვა ხეში თამაშისთვის, გაფრთხილებენ დაიმსახურეს ლუჟნიმ და სალენკომ.

ევროპული თასების მატჩები ძალზე პრესტიჟული, საპასუხისმგებლო მოვლენაა, თითოეულმა ფეხბურთელმა კარგად უნდა იცოდეს, რომ იგი მუდამ საჭიროა კოლექტივისთვის და ზედმეტად, ტყუილუბრალოდ არ აჰყვეს მოჭარბებულ ემოციებს, კიევის დინამოელებს კი თავიანთი თავშეუკავებლობის გამო ხშირად უხდებათ შესუსტებული შემადგენლობით თამაში. ეს, ცხადია, უარყოფით დაღს ასვამს გუნდს. მართალია, კიევის „დინამოს“ სათადარიგო მოთამაშეთა საკმაოდ „გრძელი სკამი“ აქვს, მაგრამ ძირითად ფეხბურთელთა ტოლფასოვანი შეცვლა, მაინც, დიდ სიძნელეებთანაა დაკავშირებული.

უეფა-ს თასის მერვედფინალის ყველაზე დიდი მოულოდნელობა მოხდა იტალიის ქალაქ ნეაპოლში, სადაც ადგილობრივმა „ნაპოლიმ“ მარცხი განიცადა ბრემენის „ვერდერთან“ შეხვედრაში — 2:3. ეს ნეაპოლელი ფეხბურთელების პირველი მარცხია ევროპულ ტურნირებში საკუთარ მინდორზე ბოლო 7 წლის მანძილზე, თანაც, გადამწყვეტი, მესამე ბურთი მასპინძელთა კარში ბოლო, 90-ე წუთზე გაიტანა „ვერდერის“ ახალზელანდიელმა მოთამაშემ უ. რუფერმა. სუსტად ითამაშა „ნაპოლის“ წამყვანმა ფეხბურთელმა დ. მარადონამ, რომელსაც ხერხემლის დაზიანება ჰქონდა და ექიმები იძულებული იყვნენ მისთვის სხვადასხვაგვარი წამალი მიეცათ. საინტერესოა, რომ საპასუხო მატჩისთვის ბრემენის სტადიონზე სულ რაღაც ორ საათში გაიყიდა ყველა 40 ათასი ბილეთი.

ყველაზე დიდი ანგარიში აღინიშნა იუგოსლავიის „ცრვენა ზვეზდას“ შეხვედრაში დასავლეთ გერმანიის „კიოლნთან“—2:0. მაგრამ როგორც „კიოლნის“ მწვრთნელმა განაცხადა, მას საპასუხო შეხვედრის დიდი იმედი აქვს, „კიოლნი“ თავის მინდორზე ყოველთვის საგანგებოდ მობილიზებულად, ძლიერად თამაშობს.

დიდი სიძნელეების წინაშე აღმოჩნდა იტალიის „იუვენტუსი“, რომელმაც პირველი ბურთი საკუთარ კარში გაუშვა გდრ-ის „კარლ-მარქს-შტადტთან“ შეხვედრაში. მხოლოდ ფინალურ სასტვენამდე 10 წუთით ადრე შეძლო შილაჩის საპასუხო ბურთის გატანა, ხოლო 86-ე წუთზე კასირაჯის, რომელიც ალეინიკოვის შემცვლელად გამოვიდა მინდორზე, თავით გაიტანა გადამწყვეტი ბურთი.

მხოლოდ ერთ გატანილ გოლს დასჯერდა გფრ-ის „ჰამბურგი“ პორტუგალიის „სოშოსთან“ შეხვედრაში. აქ თავი გამოიჩინა გუნდის ვეტერანმა ხანევერმცველმა ვან ჰეესენმა, რომელიც 6 წლის წინ „ჰამბურგის“ შემადგენლობაში ჩემპიონთა თასის მფლობელი იყო.

**უეფა-ს თასი**
**მერვედფინალი, პირველი ტური**

„ფიორენტინა“ (იტალია) — „დინამო“ (კიევი, სსრ კავშირი) 1:0
„ანტვერპენი“ (ბელგია) — „შტუტგარტი“ (გფრ) 1:0
„ნაპოლი“ (იტალია) — „ვერდერი“ (გფრ) 2:3
„ცრვენა ზვეზდა“ (იუგოსლავია) — „კიოლნი“ (გფრ) 2:0
„ოლიმპიაკოსი“ (საბერძნეთი) — „ოსერი“ (საფრანგეთი) 1:1
„რაპიდი“ (ავსტრია) — „ლიეჟი“ (ბელგია) 1:0
„იუვენტუსი“ (იტალია) — „კარლ-მარქს-შტადტი“ (გდრ) 2:1
„ჰამბურგი“ (გფრ) — „პორტო“ (პორტუგალია) 1:0.

# ფინალური მატჩების მასპინძლები

**ციურიხში** გამართულ უეფა-ს სხდომაზე დაადგინეს ევროპის საკლუბო ტურნირების ფინალურ შეხვედრათა მასპინძელი ქალაქები.

ჩემპიონთა თასის ფინალური მატჩი 23 მაისს შედგება ავსტრიის დედაქალაქ ვენაში, ხოლო შვეიცის ქალაქი გიოტებორგი ორი კვირით ადრე, 9 მაისს უმასპინძლებს თასების მფლობელთა თასის ფინალურ შეხვედრას. ორივე გადაწყვეტილება ხმათა დიდი უმრავლესობით მიიღეს.

სხვა კანდიდატებს შორის იყო ათენი, ნიურნბერგი და სხვ.

სხვათა შორის, ვენასა და გიოტებორგში წინა წლებში არაერთხელ ჩატარებულა ფინალური შეხვედრები. 1964 წელს ჩემპიონთა თასის ფინალში ვენაში ერთმანეთს შეხვდნენ მილანის „ინტერი“ და მადრიდის „რეალი“, 1970 წელს თასებზს მფლობელთა თასზე ინგლისის „მანჩესტერ სიტიმ“ მოუგო პოლონეთის „გურნიკს“, 1987 წელს ვენაში ჩემპიონთა თასის ფინალურ მატჩში პორტუგალიის „პორტომ“ დაამარცხა მიუნხენის „ბაიერნი“. გიოტებორგში თასების მფლობელთა თასის ფინალური მატჩი გაიმართა შოტლანდიის „აბერდინსა“ და მადრიდის „რეალს“ შორის, გაიმარჯვეს შოტლანდიელმა ფეხბურთელებმა.

# ვეტერანთა ტურნირ ისრაელში

**საბჭოთა** კავშირის ვეტერან ფეხბურთელთა ნაკრები სტუმრად იმყოფებოდა ისრაელში, სადაც 3 ამხანაგური მატჩი გამართა ამ ქვეყნის ვეტერან ფეხბურთელებთან.

პირველი შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 2:2, სტუმართაგან ბურთები გაიტანეს იარცევმა და კოლოტოვმა (11-მეტრიანი). მეორე მატჩი კვლავ ფრედ დამთავრდა — 1:1, საბჭოთა გუნდში თავი გამოიჩინა იარცევმა.

ისრაელისა და სსრ კავშირის გუნდების მესამე შეხვედრა მოიგეს სტუმრებმა — 3:2, ბურთები გაიტანეს იარცევმა, გერშკოვიჩმა და ბუბუკინმა.

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

**იტალიის** ფეხბურთელთა ნაკრები სერიოზულად დაზარალდა მას შემდეგ, რაც ხელის ტრავმის გამო, სულ მცირე, ერთი თვით გამოვიდა მწყობრიდან გუნდის კაპიტანი ზრანკო ბარესი.

— თუ ყველაფერი ნორმალურად წარიმართა, — განუცხადა ჟურნალისტებს ნაკრების ექიმმა, — ჩვენს საუკეთესო მცველს რამდენიმე კვირის შემდეგ კვლავ ვიხილავთ მინდორზე.

შეგახსენებთ, რომ ზ. ბარესიმ არ გადაიხადა ბეგარა, რისთვისაც მას ელის 10-თვიანი ციხე, ან ჯარიმა 4 ათასი დოლარის რაოდენობით. თვით ფეხბურთელმა აპელაცია შეიტანა სასამართლოში, მას იმედი აქვს, რომ სასამართლო გაუქმებს პირვანდელ გადაწყვეტილებას.

**დიდი** ბრიტანეთის სპორტის მინისტრს კოლინ მოინიჰენს მიაჩნია, რომ მსოფლიო ჩემპიონატის წინასწარი ტურნირის ჩატარების საუკეთესო ადგილად ინგლისელ ფეხბურთელთათვის არის სარდინია. მისი სიტყვებით, სარდინია სწორედ ის ადგილია, რომლის ატმოსფეროს შეუძლია დადებითად იმოქმედოს ზედმეტად ექსპანსიური ინგლისელი გულშემატკივრების დასაშოშმინებლად.

## მიშელ პლატინი უოუმანოგს

**საფრანგეთის** ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების უფროსი მწვრთნელის მიშელ პლატინის წინაშე კატეგორიულად დასვეს საკითხი: დარჩება თუ არა იგი ამ პოსტზე 1992 წლის ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე.

მ. პლატინიმ გარკვეული პასუხი ჯერჯერობით ვერ გასცა, იგი ყოყმანობს, ვინაიდან საფრანგეთის ნაკრები მისი ხელმძღვანელობით ვერ გავიდა იტალიის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში.

— ხუ საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციას სურს დავრჩე ნაკრების ხელმძღვანელის პოსტზე, — თქვა მან, — უნდა შეასრულოს ჩემი პირობები, ისინი კი სრულიადაც არ ეხება ფინანსურ პრობლემებს,

მ. პლატინის სიტყვებით, ყველაფერი გადაწყდება მომდინარე წლის დასასრულს, როცა იგი შეხვდება საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს ჟან ფურნე-ფაიარს. მწვრთნელს იმედი აქვს, რომ მის მიერ განახლებული საფრანგეთის ახალგაზრდული ნაკრები გავა ევროპის ჩემპიონატის ფინალში, სადაც კონტინენტის 8 გუნდი მიიღებს მონაწილეობას.

# ტაშკენტ-ჩოსტული სტუმრობა

**უზბეკეთის** დედაქალაქში გაიმართა სსრ კავშირისა და გდრ-ის დინამოელთა ტრადიციული სამატჩო შეხვედრა სასტენდო სროლაში.

საუკეთესოდ გამოვიდნენ ქართველი მესტენდურეები, რომლებსაც მსოფლიოსა და ევროპის მრავალგზის ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ტარიელ ჟღენტი ავარჯიშებს.

განსაკუთრებით ისახელა თავი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა, 28 წლის დავით ქვათაძემ, რომელმაც ახლახან კიევში, როგორც იცით, ვერცხლის მედალი მოიპოვა სპორტული სკოლების საკავშირო შეჯიბრებაში. მრგვალ სტენდზე პირად შეჯიბრებაში მან 214 ქულა მოაგროვა (225 შესაძლებლიდან) და დამაჯერებლად მოიპოვა პირველობა. მეორე ადგილზე გასული ქვეყნის ნაკრების წევრი, ტაშკენტელი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი სერგეი ივანატოვი, მას სამი ქულით ჩამორჩა. აღსანიშნავია, რომ ასეთივე შედეგი ჰქონდა ჩვენს მეორე მსროლელსაც თბილისელ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატ გივი შენგელიას. ფინალურ სერიაში უკეთ ისროლა მასპინძელმა. მეოთხე და შეხუთე ადგილები გაიყვეს მსოფლიოს ჩემპიონმა ბერჰარდ ჰოჰვალდმა (გდრ) და ტაშკენტელმა ანდრეი ჩერნენკომ — თითოეულს 210 ქულა.

გუნდურ ჩათვლაში დ. ქვათაძე, გ. შენგელია და ა. ჩერნენკო („დინამოს“ პირველი გუნდის შემადგენლობა) უძლიერესი იყვნენ — 428 ქულა, მეორე ადგილზე გავიდა „დინამოს“ მეორე ნაკრები — 414 ქულა.

სატრანშეო სტენდზე თავი ისახელა თბილისელმა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა არჩილ საბედაშვილმა. იგი „დინამოს“ პირველი ნაკრების შემადგენლობაში ალმაათელ ალექსანდრ ასანოვთან და ვილნიუსელ ანდრონის ბელკისთან ერთად აგრეთვე უძლიერესი იყო გუნდურ ბრძოლაში — 400 ქულა.

— გამარჯვებით კმაყოფილი ვარ, თუმცა შედეგები გაცილებით უკეთესი შეიძლებოდა რომ ყოფილიყო — გვითხრა ტ. ჟღენტმა — საქმე ისაა, რომ ტაშკენტის სასროლეთი საკმაოდ მოძველებული აპარატურითაა აღჭურვილი და სამიზნე თეფშის ფრენა, როგორც წესი, უჩვეულო, არასტანდარტული იყო.

**„ლელოს“ კორ.**

# ორი ტურის შემდეგ

**ტაშკენტმა** უმასპინძლა ხელბურთში სსრ კავშირის ვაჟთა პირველობის (პირველი ლიგა) მეორე ტურს. სამ გუნდს შორის თბილისის „ბურევესტნიკიც“ იყო. ჩვენმა ხელბურთელებმა ორივე მატჩი მოუგეს აზერბაიჯანის გუნდს, ხოლო ტალინის „კოოპერატორი“ დაამარცხეს პირველ შეხვედრაში, მეორე კი წააგეს.

ამრიგად, ბურევესტნიკელებმა 8 შესაძლებლიდან 6 ქულა მოიპოვეს და ორი ტურის შემდეგ 17 ქულით IV ადგილზე იმყოფებიან. ასპარეზობას 20-ე ქულით ლიდერობენ კაუნასის „გრანიტასი“, ბროვარის „სტროიტელი“ და შიაულიაის „ტაურასი“.

მომდევნო, მესამე ტურის მატჩებს „ბურევესტნიკი“ გამართავს უზბეკეთის ქალაქ ნავოიში 14-17 დეკემბერს. აქ იგი ასევე ორ-ორ მატჩს ჩაატარებს ტაშკენტისა და ალმაათის ხელბურთელებთან.

**„ლელოს“ კორ.**

# ნაკრებში— „მოვერცხლილი“ გზით

**ამ** ბოლო ხანს ბათუმელი აფროსნები წარმატებით გამოდიან როგორც რესპუბლიკურ, ისე საკავშირო შეჯიბრებებში.

ადრე ვიუწყებოდით, რომ საკავშირო IV ახალგაზრდულ თამაშებზე ბათუმელმა მოსწავლემ კარინა ბაღდასაროვამ „ვინდგლიადერის“ კლასში ვერცხლის მედალი მოიპოვა და საქართველოს სპორტულ დელეგაციას თანაგუნდელთაგან ყველაზე მეტი ქულა შესძინა.

ამას წინათ კი ანაპაში დამთავრებულ საბჭოთა კავშირის პირველობაზე კარინა კვლავ მეორე ადგილზე გავიდა, ამჯერადაც ვერცხლის მედალს დაეუფლა და პირველად შეასრულა საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატის ნორმატივი.

ამ წარმატების შემდეგ კარინა ბაღდასაროვა (მწვრთნელი ალექსანდრე მაზუროვი) ჩვენი ქვეყნის აფროსან ქალთა ნაკრებში შეიყვანეს. ცხადია, ეს მას გზას გაუხსნის უფრო მაღალი რანგის შეჯიბრებებისკენ.

**ოთარ მურვანიძე.**

ბათუმი.

# მარცხი სტარტზეევე

**დაიწყო** კალათბურთელ ვაჟთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები. სასტარტო შეხვედრა საბჭოთა კავშირის ნაკრებმა (გამოდის მეოთხე ჯგუფში) დათმო ჩეხოსლოვაკიის გუნდთან 76:85 (35:39). საბჭოთა ნაკრებს ამ მატჩში ვერც რ. კურტინაიტისმა უშველა და ვერც ვ. ხომიჩუსმა, რომლებიც სპეციალურად ჩაფრინდნენ ჩეხოსლოვაკიაში გფრ-დან და ესპანეთიდან. კურტინაიტისმა თავის კოლექტივს 26 ქულა შესძინა, გ. რეზცოვმა — 15, ვ. ტიხონენკომ—13, ტ. სოკმა — 11.

ამ ჯგუფში მოასპარეზე ისრაელის ნაკრებმა დაამარცხა საფრანგეთის გუნდი 99:93 (55:48). მომდევნო შეხვედრას საბჭოთა კალათბურთელები ჩაატარებენ შინ ისრაელის ნაკრებთან. ეს მატჩი გაიმართება დღეს ლუჟნიკებში. ვარაუდობენ მოედანზე ა. საბონისის გამოსვლას.

ჯგუფური ტურნირების სხვა მატჩები ასე დამთავრდა: **პირველი ჯგუფი.** შვეიცია — საბერძნეთი 86:100 (54:50), რუმინეთი — ბულგარეთი 76:98 (33:56); **მეორე ჯგუფი.** ბელგია — იტალია 77:99 (45:44), პოლონეთი — ჰოლანდია 71:101; **მესამე ჯგუფი.** გფრ — იუგოსლავია 75:111 (36:56), ინგლისი — ესპანეთი 83:99 (40:57).

# პატარა სოფლის დიდი ენთუზიაზმი

**გათამაშებაში** თითქმის საფეხბურთო სეზონის ბოლოს ჩაებნენ რესპუბლიკის ზონალურ პირველობაში მონაწილე გუნდები. შეხვედრები ორ ურედ, საკუთარ და მეტოქე გუნდების მინდვრებზე მიმდინარეობს.

7 ნოემბერს კალენდარულ თამაშს დაესწარი სოფელ ჭაბუკიანში (ლაგოდეხის რ-ნი). მივედი სტადიონზე და ვეღარ დავფარე სიხარულიც და გაკვირვებაც იმის გამო, რომ ამ პატარა სოფელში ისეთი კოხტა სტადიონი მოუწყვიათ, რომელსაც ბევრი მოზრდილი ქალაქიც ინატრებდა. გასახდელები გუნდებისა და მსაჯებისთვის, ტრიბუნები რამდენიმე ათას მაყურებელზე, გადახურული ტრიბუნა-ლოჟა.

ფეხბურთელთა გუნდი და სტადიონი ეკუთვნის სოფელ ჭაბუკიანის ი. ჭავჭავაძის სახ. კოლმეურნეობას, რომლ. თავმჯდომარეა ახალგაზრდა სპეციალისტი, ადგილობრივი მკვიდრი ვახტანგ თაბუკაშვილი. [illegible] შესახებ ვესაუბრე ადგილ[illegible] ავ მცხოვრებთ, რომლებმაც ერთხმად განაცხადეს, რომ ვახტანგი კარგი ავტორიტეტით სარგებლობს კოლმეურნეთა შორის, არის უნარიანი ორგანიზატორი, შეყვარებული თავის რაიონზე, ეს სტადიონიც შისი უშუალო ხელმძღვანელობით და მონაწილეობით არის აშენებული.

შემდეგ ვესაუბრე თვით ვ. თაბუკაშვილს. მან მითხრა, რომ სტადიონი აშენდა კოლმეურნეთა მიერ მოწყობილი შაბათობების ხარჯზე, გეგმაში გვაქვს ავაშენოთ სპორტდარბაზი, საცურაო აუზი და სხვა სპორტული ნაგებობანიც, ამ მშენებლობებს ორ წელიწადში დავამთავრებთ.

ფეხბურთის დიდი მოყვარულია ამ კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილე შ. რეხვიაშვილიც, რომელიც გვერდში უდგას ახალგაზრდა თავმჯდომარეს, ისინი ერთად აკეთებენ ბევრ კეთილშობილ საქმეს.

ჩვენი აზრით, ამ კოლმეურნეობის გუნდს გზა უნდა მიეცეს საქართველოს პირველობაზე, ეს მეტ ენთუზიაზმს შესძენს სოფლის კოლმეურნეებს და მსახბაძი გახდება სხვებისთვისაც.

**ოტია ჟორდანია.**

# მატჩი პირველი ადგილისთვის

**გუშინ** თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა საფეხბურთო მატჩი, რომელსაც უნდა გამოევლინა რესპუბლიკის II ჯგუფის გათამაშების გამარჯვებული გუნდი დასავლეთ ზონაში. ერთმანეთს შეხვდნენ „იმერეთი“ (ხონი) — „ნარინჯი“ (ქობულეთი).

მატჩი მოიგო „ნარინჯმა“ — 5:0.

სსრ კავშირის ქალთა ჩემპიონატი ჭადრაკში

# კახიანმა თამაში ვერ აანყო

**კვლავ** არასასიამოვნო ინფორმაცია მივიღეთ ქალაქ ვოლუსკიდან, სადაც მოჭადრაკე ქალთა 49-ე საკავშირო ჩემპიონატი მიმდინარეობს. თბილისელმა საერთაშორისო ოსტატმა ჭ. კახიანმა VI ტურში წაგო ბაქოელ ოსტატ ფირუზა ველიხანლისთან. სხვათა შორის, ეს ველიხანლის პირველი გამარჯვებაა ამ ტურნირში. ძნელი ასახსნელია, რა ხდება. მეტად წარუმატებელი სტარტის შემდეგ (3 ტურში მხოლოდ ნახევარი ქულა), კახიანმა თითქოს „იპოვა“ საკუთარი თამაში და ზედიზედ ორი მეტოქე დაამარცხა. და აი, ახალი წარუმატებლობა. ასეა თუ ისე, ახლა კახიანს კვლავ 2,5 ქულა აქვს და საგრძნობლად ჩამოსცილდა დაწინაურებულ ჯგუფს. შეჯიბრებას კი 6 ტურის შემდეგ 4,5 ქულით ლენინგრადელი ნ. სიტნიკოვა ლიდერობს. შემდეგ მოდიან ლ. სემიონოვა (კიევი) — 4 ქულა, ა. სოფიევა (ბაქო), ი. ჩიოლუშკინა (ლვოვი) — 3,5-3,5 (1-1), რ. დომკუტე (შიაულიაი), ვ. კოზლოვსკაია (პიატიგორსკი), ზ. ლელჩუკი-პოპოვა (ვოროშილოვგრადი), ს. პრუდნიკოვა (ბალაშოვი), მ. შერემეტიევა (კიშინიოვი) — 3,5-3,5, ი. დიომინა (ნოვოსიბირსკი) — 3, ფ. ველიხანლი, ჭ. კახიანმ, გ. სახატოვა (ალმა-ათა), ე. ხარკოვა (მოსკოვი) — 2,5-2,5, მ. ნეპეინა (ვოროშილოვგრადი), ა. შაფრანსკა (რიგა) — 2-2, ფ. უსკოვა (ალმა-ათა) — 1.

**VI ტურის** შეხვედრები ასე დამთავრდა: უმანსკაია—შერემეტიევა 1:0, ველიხანლი — კახიანი 1:0, პრუდნიკოვა—ლელჩუკი-პოპოვა 0:1, ხარკოვა — დომკუტე 0:1, ნეპეინა—სახატოვა 0:1, კოზლოვსკაია — დიომინა 0,5:0,5, შაფრანსკა — სემიონოვა 0,5:0,5, უსკოვა — სიტნიკოვა 0,5:0,5. გადაიდო სოფიევა — ჩიოლუშკინას პარტია.

მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება. კოზლოვსკაიამ მოუგო პრუდნიკოვას (**III ტური**), სახატოვა დამარცხდა სემიონოვასთან (**IV ტური**), დაზავდნენ კოზლოვსკაია და ნეპეინა (**V ტური**).

## ინფორმაცია

**გულგარეთის** ქალაქი პლევენი ბევრი საჭადრაკო ტურნირის მასპინძელია. ამას წინათ კი ამ ქალაქში შეიკრიბნენ მოსწავლები, რომელთა შეჯიბრებებში მონაწილეობდნენ ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის, საფრანგეთის, კუვეიტის, ბულგარეთისა და სსრ კავშირის წარმომადგენლები. ჭაბუკთა ტურნირში დიდ წარმატებას მიაღწია სამტრედიის მე-5 საშუალო სკოლის მოსწავლემ ბაჩუკი ჩაბრაძემ. მან 9 შესაძლებლიდან 7,5 ქულა მოაგროვა და მხოლოდ ნახევარი ქულით ჩამორჩა გამარჯვებულ იური ლიპკას (ჩეხოსლოვაკია). მესამე შედეგი ჰქონდა ბულგარელ ტიხომირ დოვრამადჟიევს.

# ჩემპიონები რკინიგზელთა შორის

**რკინიგზელთა** საერთაშორისო სპორტული კავშირი სპორტის მრავალ სახეობაში აწყობს თავის მსოფლიო ჩემპიონატებს. ეს ასპარეზობები, უწყებრივი ხასიათის მიუხედავად, მრავალ ცნობილ ათლეტს უყრის თავს, განსაკუთრებით ჭიდაობაში, სადაც ხშირად ასპარეზობენ სხვადასხვა უფრო მაღალი რანგის ჩემპიონატების მონაწილენი და პრიზიორებიც კი...

ძალზე სერიოზული მეტოქეები ჰყავდათ რკინიგზელ კლასიკური სტილის მოჭიდავეთა მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე ჩვენს ფალავნებს გელა პაპაშვილსა და ზაურ ცხადაძეს, მაგრამ საქართველოს წარმომადგენლებმა ყველა მათგანი დაამარცხეს და ჩემპიონობა მოიპოვეს. მაგალითისთვის ვიტყვით, რომ ზეტაფონელმა ზ. ცხადაძემ, რომელიც მძიმე წონაში გამოდიოდა, ფინალურ შერკინებაში სეულის ოლიმპიადის პრიზიორი ბულგარელი მოჭიდავე დაამარცხა ანგარიშით 6:1. თბილისელმა გ. პაპაშვილმა კი 48 კგ წონაში დაიკავა პირველი ადგილი. მისი მწვრთნელია შალვა გაფრინდაშვილი, ხოლო ცხადაძეს ვიტალი ზამთარაძე ავარჯიშებს.

ჩემპიონატში (მას ლვოვმა უმასპინძლა) გუნდური პირველობა მასპინძლებს, საბჭოთა სპორტსმენებს დარჩათ, რომლებმაც 6 ოქროსა და ორი ვერცხლის მედალი მოიპოვეს. მეორე ადგილზეა ბულგარეთის, მესამეზე — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდები.





**ხურათებზე: გელა პაპაშვილი (მარცხნივ); ზაურ ცხადაძე.**




# რაგბის ახალი ამბები

**დღეს** ლონდონის „თანამგზავრ“ ქალაქ თვიქნემში „ბარბაროსებთან“ შეხვედრით ბრიტანულ ტურნეს ამთავრებს მსოფლიო თასის მფლობელი, ახალი ზელანდიის ეროვნული ნაკრები „ოლ ბლექსი“. ამ საჩვენებელ თამაშს რაგბის ინგლისელ მოყვარულებთან ერთად დაესწრებიან რაგბის კავშირების პირველი ყრილობის მონაწილენიც. მათ შორის იქნებიან საქართველოს წარგზავნილები — კავშირის პრეზიდენტი ალექსი გოცირიძე და მდივანი დავით კილასონია, რომლებიც 22-24 ნოემბერს გამართულ ყრილობაზე მეთვალყურეებად იყვნენ მიწვეული. ჩვენი წარმომადგენლები ყრილობის დღეებში რაგბის საერთაშორისო საბჭოს (ირბ) საპოლიტიკო კომიტეტის წევრებს პირადად უნდა შეხვედროდნენ და მათთვის ამომწურავად მიეწოდებინათ ინფორმაცია ქართული რაგბის შესახებ, რის შემდეგაც თავის ე. წ. საშუალედო სხდომაზე, **26-29 ნოემბერს, ირბ-ი განიხილავს საბჭოს მოკავშირე წევრად მიღებისათვის საქართველოს ოფიციალურ განაცხადს, და იმედი ვიქონიოთ, ჩვენთვის სასურველ გადაწყვეტილებასაც მიიღებს.**

ყრილობიდან მიღებულ ყოველ ცნობას დროულად მოგაწვდით, მანამდე კი ტურნეზე ახალზელანდიელთა ბოლო მატჩების შედეგებს გაგაცნობთ. უელსიდან ირლანდიაში „გადასხდომის“ შემდეგ სტუმრებმა, როგორც ვწერდით, სძლიეს ირლანდიის ორი ისტორიული კუთხის — ლენსთერისა და მანსთერის ნაკრებს. ახალზელანდიელებმა მოიგეს მომდევნო სამი თამაშიც: ჯერ გოლუვეიში დაამარცხეს კიდევ ერთი კუთხის — ქონოთის ნაკრები (40:6), შემდეგ დუბლინის „ლენსდაუნ როუდზე“ — ტესტ-მატჩი მოუგეს ირლანდიის ეროვნულ ნაკრებს — 23:6 (13:6), ბოლოს კი ბელფასტში აჯობეს ალსთერის ნაკრებს — 21:3 (6:0). დუბლინსა და ბელფასტში თამაშები ერთი სცენარით წარიმართა. შესვენებამდე მასპინძლები ვაჟკაცურად გაუმკლავდნენ მსოფლიოს უძლიერესი გუნდის შემოტევას და მას ტოლი არაფერში დაუდეს, მაგრამ მეორე ტაიმში სტუმართა ოსტატობამ მაინც თავისი ჰქნა. აღსანიშნავია, რომ ტესტ-მატჩში ახალზელანდიელებმა ორი გადამწყვეტი ლერო მხოლოდ თამაშის ბოლო ათ წუთში გაიტანეს, ირლანდიელთა რიგებში კი გარე ნახევარმცველად ითამაშა ავსტრალიის ნაკრების ყოფილმა წევრმა ბრაიან სმითმა, რომელიც ამჟამად ოქსფორდის უნივერსიტეტში სწავლობს და, რაკიღა ბებია ირლანდიელი ჰყავს, ამიერიდან ირლანდიის ღირსებას დაიცავს.

დაიწყო 1991 წლის მსოფლიო თასის გათამაშების შესარჩევი შეჯიბრება ამერიკის ზონაში. პირველ მატჩში არგენტინელებმა ბუენოს-აირესში სძლიეს აშშ-ის ნაკრებს— 23:6 (14:3). ამ ორი გუნდის გარდა ორწრიან ტურნირში მონაწილეობენ კანადელებიც. დანარჩენი მატჩები ამერიკის ზონაში გაისად გაიმართება, თუმცაღა ამთავითვეა ცნობილი, რომ სამივე მონაწილე გავა ფინალურ ეტაპზე, რაკიღა ამერიკელთათვის სამი ადგილია გამოყოფილი და კონკურენტიც მხოლოდ სამია. მიუხედავად ამისა, შეჯიბრებამ უნდა გაარკვიოს, თუ რომელი გუნდი რომელ ქვეჯგუფში მოხვდება.

სსრ კავშირის ნგბა-ს სიახლეები

**ახალი** სეზონის წინ საინტერესოა რა ცვლილებები მოხდა კალათბურთის ეროვნული ასოციაციის (ნგბა) შემადგენლობაში. ვინ სად გადავიდა, გაგაცნობთ ზოგიერთ მათგანს. კვლავ შეიცვალა კლუბი ცნობილმა გიგანტმა რალფ სამპსონმა (224 სმ), რომელმაც ახალი სეზონი დაიწყო „საკრამენტო კინგსის“ შემადგენლობაში. ჯერ კიდევ შარშან შუა სეზონში „ბოსტონ სელტიქსიდან“ ამ კლუბში გადავიდა ცნობილი მცველი დენი ეინჯი. კვლავ შეიცვალა კლუბი ცნობილმა ცენტრმა ჯობერი კეროლმა, რომელიც „ნიუ-ჯერსი ნეთსის“ შემადგენლობაში თამაშობს. მცველი რეჯი თეუსი შარშან „ატლანტა ჰოუქსის“ ღირსებას იცავდა. წლეულს იგი კალათბურთის ეროვნული ასოციაციის დებიუტანტის „ორლანდოს“ გუნდში თამაშობს. „დალას მავერიქსიდან“ „ინდიანა პეიზერსის“ შემადგენლობაში გადავიდა ცნობილ დასავლეთ გერმანელი კალათბურთელი დეტლეფ შრამპფი. სან-ფრანცისკოს „გოლდენ სტეიტ უორიორსის“ შემადგენლობაში თამაშობს სუდანელი მახუტ ბოლი, რომელიც „ვაშინგტონ ბულეტსში“ თამაშობდა და დასავლეთ გერმანელი უვე ბლაბი, რომელიც „დალას მფერიქსიდან“ გადმოვიდა. მწვრთნელის დონ ნელსონის აზრით, მათ უნდა შეცვალონ გუნდიდან წასული რალფ სამპსონი. „ჩარლოტე ჰორნეტსის“ შემადგენლობაში გამოდიან ტანმორჩილი ტაირონ ბოგე (160 სმ), გამოცდილი ვეტერანი კურტ რამბისი, რომელიც დიდხანს თამაშობდა „ლოს-ანჯელეს ლეიკერსში“ და მრავალნაკადი კალათბურთელები კელი ტრიპუკა და ფარლი გურეტონი.

ზოგიერთმა კლუბებმა შეიცვალეს მწვრთნელები. „ჩიკაგო ბულსი“ დატოვა დუგ კოლინსმა, ახლა გუნდს სათავეში უდგას ფილ ჯეკსონი. „ნიუ-იორკ ნიქსის“ უფროსი მწვრთნელის პოსტზე რიკი პიტინო შეცვალა სტივ ჯეკსონმა. ბილ ფიტჩი, რომლის ხელმძღვანელობით 1981 წელს „ბოსტონ სელტიქსი“ ნბა-ს ჩემპიონი გახდა, ხოლო 1986 წელს „ჰიუსტონ როკეტსი“ ნბა-ს ჩემპიონატის ფინალში გავიდა, ხელმძღვანელობს „ნიუ-ჯერსი ნეთსს“. მატ გუკასი, რომელიც ადრე მუშაობდა „ფილადელფია-76“-ში ნბა-ს დებიუტანტს „ორლანდოს“ ხელმძღვანელობს.

**ვერა კალანდაძე.**

**სპორტ** ბოუმენი ჰოკეის ეროვნული ლიგის ჭლ ერთ-ერთი უდიდესი ავტორიტეტი მას შემდეგ გახდა, რაც 1971 წელს სათავეში ჩაუდგა „მონრეალ კანადიენსს“. გუნდმა, რომელსაც იგი 8 წელი წვრთნიდა, ამ ხნის მანძილზე ხუთჯერ მოიპოვა „სტენლის თასი“.

ბოუმენი ყოველთვის ითვლებოდა უსასტიკეს მწვრთნელად; ბევრ ჰოკეისტს იგი, უბრალოდ, სძულდა. მას ეკუთვნის ერთი აფორიზმი, რომელიც სავსებით შეესაბამება ამვგარ რეპუტაციას: „მოთამაშე არ უნდა გიყვარდეს“. გულისხმობდა იმას, რომ მოთამაშე გუნდში არ უნდა გაჩერო იმის იმედით, ოდესმე მისგან დიდი ჰოკეისტი დადგებაო. „ჩვეულებრივ, კარგი მოთამაშე ადრევე გამოავლენს ხოლმე თავის შესაძლებლობებს, — წერს ბოუმენი, — გამორიცხული არ არის, რომ მას გარკვეული დროით დაღმასვლა დაეტყოს, მაგრამ ეს პერიოდი აუცილებლად გაივლის“.

ადრე ჭლ-ის გუნდები რეზერვს ამერიკისა და კანადის იუნიორთა სამოყვარულო კლუბებში ეძებდნენ. ახლა ახალგაზრდა ჰოკეისტთა მომზადების სისტემა არსებითად შეიცვალა და გაფართოვდა, მათთან მუშაობას ბევრად მეტი ყურადღება ეთმობა. ბოუმენის აზრით, ახალგაზრდებთან მომუშავე მწვრთნელის უმთავრესი თვისება მოთმინება უნდა იყოს, „საჭიროა გწამდეს გამარჯვების, ამბობს იგი, — მაგრამ მას უცბად ვერ მიაღწევ. ახალგაზრდა ჰოკეისტებისგან, უპირველეს ყოვლისა, გუნდი უნდა შექმნა, ხოლო ეს სულაც არ არის ავტომატური პროცესი, იგი მოითხოვს დროს და, მაშასადამე, მოთმინებასაც. ოღონდ, სიფრთხილე აუცილებელია, ახალგაზრდები წავებას რომ არ მიეჩვიონ“.

პროფესიონალ ჰოკეისტთა წვრთნის შესახებ ბოუმენი ამბობს: „გუნდი ისე ითამაშებს, როგორც ავარჯიშებ. წვრთნის პროცესი ხანმოკლე, მაგრამ ინტენსიური უნდა იყოს. ჰოკეისტი ვარჯიშზე მაქსიმალური სისწრაფით უნდა მოძრაობდეს. არ შეიძლება თამაშზე მოუმზადებლად გამოსვლა — გუნდი ყოველთვის საუცხოო სპორტულ ფორმაში უნდა გყავდეს“.

აი, რას ფიქრობს ბოუმენი სპორტის ამ სახეობაში მომხდარ ცვლილებებზე: „ჰოკეი უწინდებურად მოითხოვს დისციპლინასა და აუდელვებლობას, არანაკლებ მნიშვნელოვანია ის, რომ ძლიერი გუნდი მოწინააღმდეგეს თავს ახვევს თავის ტაქტიკას და გამუდმებულ დაწოლას ახდენს მასზე. ჰოკეი შეიცვალა, მაგრამ სათამაშო დისციპლინის გამოვლენას მნიშვნელობა არ მოჰკლებია. მწვრთნელად რომ დავიწყე მუშაობა, მატჩები დაცვით ორთაბრძოლებს მოგვაგონებდა. მაშინ არ იყო იმდენი სნაიპერი, რამდენიც ახლა ჭლ-ის ნებისმიერ გუნდს ჰყავს. ადრე შეიძლებოდა ერთ რომელმე რგოლში დაგეჯაბნა მეტოქე და მატჩი მოგეგო. ახლა კი მკაფიო თავდასხმასა და დაცვას შორის მიჯნას ვეღარ გაავლებ — შედეგიანი თამაში ხუთივე ჰოკეისტისგან არის მოსალოდნელი. ძალზე იმატა სისწრაფემ, ჭლ-ის გუნდებზე გავლენა მოახდინეს, როგორც, საერთოდ, ევროპულმა ჰოკეიმ, ისე ამერიკისა და კანადის პროფესიულ კლუბებში გადასულმა ცალკეულმა ევროპელმა სპორტსმენებმა. ბევრი რამ მოგვცა „ძველი სამყაროს“ გუნდებთან ჩატარებულმა მატჩებმაც. შაიბის ფლობის ხელოვნებას ახლა უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს. მოთამაშეებს მეტი ტექნიკურობა მოეთხოვებათ. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ადრე ჰოკეი ორი სიტყვით განისაზღვრებოდა — მიიმწყვდიე და წაართვი“.

## „მატჩები გვანიჭებს სიამოვნებას“

შემდეგ ბოუმენი განიხილავს მატჩის დროს გუნდის ხელმძღვანელობის პრობლემებს: „თუ თამაში არ აეწყო, დაუყოვნებლივ უნდა მივიღოთ ზომები. უეჭველია, რაც უნდა კარგი იყოს მწვრთნელი, მისი ყველა გადაწყვეტილება ვერ აღმოჩნდება ეფექტური, მაგრამ ზოგი მათგანი მაინც გამოიღებს შედეგს. უნდა გვახსოვდეს, რომ შეუძლებელია გამუდმებით სჯობნიდე ტაქტიკაში მოწინააღმდეგე გუნდის მწვრთნელს. თამაშის გადასარჩენად ხშირად უნდა მივმართოთ თამამ მოქმედებას“.

ბოუმენის აზრით, ხელმძღვანელობის ერთ-ერთი ძირითადი ასპექტია „მოქნილი“ გადაწყვეტილებები. თუ გუნდი შეუთანხმებლად მოქმედებს, თამაშში კორექტივები უნდა შევიტანოთ — გამოვიყვანოთ მეოთხე ხუთეული ან სხვა შემადგენლობით გამოვუშვათ მოედანზე ჰოკეისტები. მწვრთნელმა ტაქტიკის შეცვლის აუცილებლობაში უნდა დაარწმუნოს გუნდი. ალბათ, საჭიროა ზოგი სპორტსმენი მეტხანს გააჩეროს ყინულზე, რათა სხვებს დასვენების საშუალება მისცეს. იგი ამომწურავად უნდა იცნობდეს თავის ჰოკეისტებს, მათ ძლიერსა და სუსტ მხარეებს. გარდა ამისა, აუცილებელია მოწინააღმდეგის კარგად შესწავლა. მწვრთნელის უმნიშვნელოვანესი ამოცანა არის ის, რომ გუნდმა თამაშის სადავეები არ გაუშვას ხელიდან.

რა მოსწონს ყველაზე მეტად ბოუმენს მწვრთნელის პროფესიაში? „მატჩები, — უყოყმანოდ ამბობს იგი, — სწორედ მატჩები გვანიჭებს ჭეშმარიტ სიამოვნებას. მათში ვლინდება მწვრთნელის მუშაობის შედეგები. მათი მიხედვით მსჯელობენ მწვრთნელზე. მატჩები აძლევს მწვრთნელს თავისი შრომის დასრულებულობის შეგრძნებას... იწყება თამაში და მწვრთნელი გუნდის საჭესთან დგება“.

მატჩის დროს ბოუმენი ბოლთასა სცემს მოთამაშეთა ზურგს უკან. ერთს კეფაზე მოუთათუნებს ხელს, მეორეს ზურგზე დაარტყამს, სხვას ყურს აუწევს. ასე აგრძნობინებს იგი ჰოკეისტებს თავის აზრს, რასაც მოკლე რეპლიკებს ამატებს. მოჩვენებითი სიმშვიდის შენარჩუნებაში ბოუმენს დიდი მათარით მომარაგებული ყინულის ნატეხები ეხმარება, რომლითაც იგი გამუდმებით იგრილებს პირს.

„ყველაზე დიდ ნერვიულ დაძაბულობას მწვრთნელი თამაშის წინ განიცდის, — ამბობს ბოუმენი. — მოუთმენლად ველი მატჩის დაწყებას. ამ დროს ჩემი ფიქრები მთლიანად მიჯაჭვულია ჰოკეიზე“.

ინფორმაცია მოამზადეს
**ზაზა ფერცხიშვილმა**
**და ალეკო ბერეგოვაძემ.**

**რედაქტორი**
**თ. გაჩეჩილაძე.**

ინდექსი 88485. ხელმოწერილია საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა 380098, თბილისი, ლენინის ქ. 14. ofseturi წესით ბეჭდავს „ორპუსში“, ბოსტონელის ქ. 29. უე 00351